№ 2714
პარასკევი,
31 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2714
პარასკევი,
31 დეკემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пуриели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ **უფასოდ გაეგზავნება** ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ აგალიშვილის** მიერ და შედარებულია **ჟიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისა

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

29 ამ დეკემბერს, მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, თავის მამულში, სოფელ ერგნეთში, გორის მაზრაში, გარდაიცვალა

თავადი იორამ ბეჟანის-ძე ხერხეულიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა შვილი კონსტანტინე, ქალი ალექსანდრა ზენკოსი ქმრით, ძმები გრიგოლ და ნიკოლოოზ მეუღლეებით, ძმის-წულები ბეჟან ივანეს ძე მეუღლით და ბარბარე ივანეს ასული ფავლენოვისა ქმრით და სიძე დავით ივანეს ძე კეზელი შვილებით. პანაშვიდები ყოველ-დღე: დილით—10 საათზე და საღამოობით 5 საათზე. განსვენება მიცვალებულისა კვირას, ორს იანვარს, დილის 10-საათზედ. დაკრძალვა ერგნეთის სახერხეულიძო საგვარეულო წმ. ღვთისმშობლის ეკკლესიაში. (1—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს, 31 დეკემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება: I **„სევილიელი დალაქი“** II **საკონცერტო განყოფილება**
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდი, ბუნაკოვა, ნიკიტსკაია, ორჯელი; ბ-ნნი: დონსკოი, პოლუიანოვი, ობრაზცოვი, გალეცკი, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
1 იანვარს—„ბოკაჩიო“
გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბრ. ვ. სოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში რაციები მორიგებით. კრავატები დღეში ს სამი მან. საზოგადო ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (—6.—13)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—12)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—31)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—21)

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—4)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—5).

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—10)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—11)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

29 დეკემბერი

შანხაი. რუსები ჯარს აძლიერებენ იაპონელების მარცხენა ფრთის წინააღმდეგ, მეტადრე სეინჩანს ახლო, სადაც ეხლა 17-დან 18 ათასამდე კაცი ჰყავთ.

პორტ-საიდი, 29 დეკემბერი. რუსის ერთი ნალმიანი გემი, რეიდში რომ შედიოდა, ქვა-ნახშირით დატვირთულ ნავს დაეტაკა და ნავი ჩაიძირა. ბევრი რუსის აფიცერი ნაპირზე გადმოვიდა.

პარიზი. გულის ინციდენტის გამომძიებელმა კომისიამ დაადგინა, რომ სხდომებს საჯაროდ მოახდენს ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ფაქტების აღნიშვნასა ანუ მოწმეებისაგან ჩვენების ჩამორთმევას შეეხება, ესე იგი პირველ ხარისხოვან საგნების გარჩევის დროს; თათბირს-კი კომისია ხალხის დაუსწრებლად მოახდენს, რადგან საჯარო კამათი თვით მეორე ხარისხოვან საგნებზეც მეტად უხერხული იქნებოდა. პრესის წარმომადგენელთ დარბაზში ბილეთებით შეუშვებენ. საჯარო სხდომებს სამინისტროს დიდ სანადიმო დარბაზში მოახდენენ.

ბერლინი, 29 დეკემბერი. იმპერატორმა ვილჰელმმა რუსეთის ელჩი მიიღო და 29 დეკემბერს იაპონიის ელჩი მიიღო.

30 დეკემბერი

პორტ-საიდი, 28 დეკემბერი („რეიტერი“). ადმირალის დობროტვორსკის ესკადრა არხში შევიდა. გემებმა წაიღეს 1000 ტონა ნახშირი, 500 ტონა წყალი, დიდძალი სურსათი და კონსერვი. გემების დანიშნულება არ იციან. ალბად, ისინი მადაგასკარისკენ წავლენ ჯიბუტის გზით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

29 დეკემბერი.

ლონდონი, 29 დეკემბერი. იაპონიამ ბრძანება გასცა, რომ ყველა სახელმწიფოების გემებს ეკრძალებათ ათის მილის მანძილზე მეტი მიუახლოვდნენ ფორმოზისა და ლესკადორის კუნძულების ნაპირებს იაპონიის მთავრობის ნებადაურთველად. იმ გემმა, რომელსაც ნებართვა ექნება აღებული, ხუთი მილის მეტი არ უნდა გაიაროს საათში.

პარიზი, 29 დეკემბერი. იაპონიის მთავრობამ რომ გამოაცხადა—კოდამას მოხსენება ისეთი არ იყო, როგორც გაზეთებში დაბეჭდილი იყოო, პრესსა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ამ უარყოფაში ის კი არ არის ნათქვამი—იაპონიამ თავის ან თავის სამფლობელოების დაცვისთვის მოჰკიდა ხელი იარაღსო, არამედ ის, რომ ომი დაიწყო, რათა რუსეთს ადგილი არ ჰქონებოდა შორეულ აღმოსავლეთში.

ბერლინი, 29 დეკემბერი. იმპერატორმა ვილჰელმმა ორდენი პურ-ლე-მერიტ უბოძა სტესელსა და ნოგის მამაცობისა და გმირობისათვის.

ბერლინი, 29 დეკემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, იაპონიის არმია კუროპატკინის გამოლაშქრებას უცდის. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი კაპიტანი გედკე, რომელიც მანჯურიაში დაბრუნდა, შესაძლოდ სთვლის რუსების წინსვლას, რადგან, იმის აზრით, რუსებს იაპონელებზე ბევრად მეტი ჯარი ჰყავთ.

პეტერბურგი, 29 დეკემბერი. დობროვოლნი ფლოტის გემს „კოსტრომა“-ს გემსაავადმყოფოდ გადააკეთებენ და მესამე ესკადრას გააყოლებენ. ამ გემს კომერციული და წითელი ჯვრის დროშები ექნება; ეს გარემოება უკვე ეცნობა იაპონიის მთავრობას ტოკიოში მყოფ საფრანგეთის ელჩის შემწეობით.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: გენ. ნოგის არმიიდან პორტ-არტურში 10 ათასი იაპონელი დარჩება, დანარჩენნი ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ და ორის კვირის შემდეგ მარშალ ოიამას შეუერთდებიან. საალყე არტილერიაც ამ ჯარს ვაჰყვება. სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, მარშალ ოიამას არმია მალე გაილაშქრებს წინაო.

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს, 21 დეკემბერს მიკადომ (იაპონიის იმპერატორმა) ახდილ ეტლით ნელნელა გაიარა ქალაქში; ყველგან აფარებული ხალხი უხვედებოდა მიკადოს და ყვავილებს ესროდა. („რ.“).

21 დეკემბერს ბერლინში იაპონელი მოსწავლე ახალგაზრდობა ერთად შეიკრიბა და სამშობლოდან მიღებული სასიხარულო ამბავი (პორტ-არტურის აღება) იდღესასწაულა; კედელზე გენ. ნოგისა და სტესელის სურათები იყო ჩამოკიდებული; ორივე სურათი ყვავილებით შემკეს. („რ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს უკვირს, გენ. სტესელის დეპეშები რუსეთის მთავრობამ მიღებიდან ორის კვირის შემდეგ რად გამოაცხადა, ისიც პორტ-არტურის დაცემის შემდეგაო. („ნ.“).

პორტ-არტურის უკანასკნელი დღეები. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ჩიფუდან: აქ რუსის აფიცრები მოვიდნენ და შემდეგი ილაპარაკეს: როცა რუსებმა 203 მეტრიანი გორა მიატოვეს, პოლკოვნიკმა კრიჩენკომ და 14 აფიცერმა სთხოვეს გენ. სტესელს, ნება მოგვეცით გორა უკან დავიბრუნოთო. სტესელმა მცირე ყოყმანის შემდეგ მისცა ნებართვა; მაშინვე დიდძალმა ხალხმა მოისურვა, ან დავიხოცებით, ან იაპონელებს 203 მეტრიან გორიდან გავერეკავთო. ღამით ახლო-მახლო ფორტებმა ზარბაზანი დაუშინეს იაპონელებს და რუსები იერიშით წავიდნენ 203 მეტრიან გორისაკენ. იაპონელებმა თოფები დაახალეს ერთბაშად, ხელით სასროლი ყუმბარები ესროლეს და რუსების ყველა იერიში მოიგერიეს; შემდეგ ხელჩართული ბრძოლა გაიმართა; რუსები შტიკებითა, ხელით სასროლ ყუმბარებით, რევოლვერებით და ბოლოს ჯოხებითა და ქვით იბრძოდნენ. იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და რუსებს უკან დაახევინეს. როცა გენ. სტესელმა გაიგო, ეს იერიში მარცხით გათავდა, თუმცა რუსებმა დიდი სიმამაცე და თავ განწირულება გამოიჩინესო, ავად გახდა და ექიმების რჩევით ლოგინში დაწვა.

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. ნოგის არმიიდან: რამწამს სუნშუშანი აიღეს, გენ. ნოგის ცენტრი (შუა ჯარი მე-9 დივიზია) 18 დეკემბერს საღამოს რუსის უმთავრეს სიმაგრეებთან მივიდა იმის გასაგებად, რამდენად შეუძლიანთ კიდევ ამ ფორტებს წინააღმდეგობის გაწევაო. იაპონელმა მზვერავებმა შეიტყეს, ფორტების დამცველი ჯარი ძლიერ შესუსტებულაო და გენ. ნოგიმ გადასწყვიტა, მთელ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე ერთბაშად შტურმი მიეტანათო. ეს შტურმი სრულის გამარჯვებით დასრულდა და 19 დეკემბერს საღამოს იაპონელებმა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ფორტები სულ ხელში ჩაიგდეს. ამავე დროს გენ. ნოგის მარცხენა ფრთა (პირველი დივიზია) მტრედის ბუხტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქმედებდა და ლიაოტეშანის გარე სიმაგრეები აიღო. მერე იაპონელები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ და დასავლეთ ფორტებს გზა მოუჭრეს აღმოსავლეთ ფორტებისაკენ, ციხე ზედ შუაზე გასწყვიტეს და გენ. სტესელის პლანის ასრულება შეუძლებელი გახადეს... მოლაპარაკება კაპიტულიაციაზე (დამორჩილებაზე) ერთ დანგრეულ სოფელში პატარა სახლის ეზოში გაიმართა. სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ხანდახან პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან ჩაძირულ გემების აფეთქების ხმა მოდიოდა. მზიანი დღე იყო, ეზოში ჩინელი ბავშვები თამაშობდნენ და სიამოვნებით უცქეროდნენ არა ჩვეულებრივ სანახავს—იაპონელ და რუსის სალდათებს თეთრის ბაირაღებით. რუსის ყაზახები, მიმიკითა და ჟესტიკულიაციით (სახისა და ხელის მოძრაობით) ელაპარაკებოდნენ იაპონელ სალდათებს. პარლამენტიორები სამჯერ შებრუნდნენ თავიანთ კარვებში; ბოლოს, 4 საათზე ყაზახების ხელით მორიგების პირველი დოკუმენტი გაუგზავნეს გენ. სტესელს. ავადმყოფი სტესელი ლოგინში იწვა. ერთის საათის შემდეგ პორტ-არტურში მეორე დოკუმენტი გაგზავნეს. ხშირი-ბინდი იყო, როცა გენ. სტესელმა ორივე დოკუმენტს ხელი მოაწერა. მოიტანეს თუ არა ყაზახებმა ხელმოწერილი დოკუმენტები, ეს ამბავი ტელეფონით ხელად შეატყობინეს გენ. ნოგის არმიას და პორტ-არტურის არე-მარეში ყველგან გაისმა აღფრთოვანებული „ბანზაი“. („ნ. ვ.“).

პორტ-არტურის აღების მნიშვნელობა. გერმანელ გენ. მეკელს, იაპონიის არმიის ინსტრუქტორად ნამყოფს, უთქვამს ამერიკულ გაზ. „ჩიკაგო დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტისათვის: „დიდებულ სამხედრო დრამის პირველი აქტი დასრულდა. იაპონელებმა თავიანთ პირველ სამხედრო მიზანს მიაღწიეს: რუსის ესკადრა მოსპეს და პორტ-არტური აიღეს. პორტ-არტურის აღებით, იაპონელები საბოლოოდ დამკვიდრდნენ მანჯურიაში, ლიაოდუნი ეხლა იმათი მტკიცე და უცილობელი საკუთრებაა გახდა. იაპონიის არმიას, ეხლა თუ ვინიცობაა მარცხი მოუვიდა, თავშესაფარი ექნება. ზღვის გზასაც ვეღარავინ მოუჭრის: წინად-კი პორტ-არტურის აღებამდე და რუსის ფლოტის მოსპობამდე, შიში იყო, ვაი თუ იაპონიის არმიას გზა მოუჭრანო. ეხლა რუსებს მეტად გაუჭირდებათ იაპონელების განდევნა და ლიაოდუნისა და პორტ-არტურის დაბრუნება, სანამ ზღვაზე ბატონობა იაპონიის ხელში იქნება. („ნ.“).

ერთი გამოჩენილი გერმანელი აფიცერი სწერს: პორტ-არტურთან იაპონელებმა უმთავრესად თავიანთ შესანიშნავ საინჟინერო ხელოვნებას წყალობით გაიმარჯვეს. ორივე მხარე, იაპონელები და რუსები, ყველა საშუალებას და იარაღს ხმარობდნენ, რაც-კი ახალმა ტეხნიკამ აღმოაჩინა. სამხედრო ხელოვნებას ბევრი რამ ახალი შესძინა და ბევრ რამეზე თვალი გაუხილა პორტ-არტურთან მომხდარმა ბრძოლამ. პორტ-არტურის დაცემა დიდ გავლენას იქონიებს საზოგადო სამხედრო ვითარებაზე, რადგან გენ. ნოგის არმია, შეიძლება, 18 დღის შემდეგ მარშალ ოიამას არმიას შეუერთდეს მანჯურიაში. იქნება მდ. შახეზე სიწყნარემ მხოლოდ იანვრამდე-ღა გასტანოს. („ნ. დ.“).

„ნაშა ჟიზნ“-ის აზრით, პორტ-არტურის აღებას ასეთი შედეგი მოჰყვა: „1. რუსეთმა არა თუ მარტო თავისი პირველი ესკადრა დაჰკარგა, მეორე და მესამე ესკადრისათვის საჭირო ბაზაც დაჰ
მეორე ესკადრა
კენ გზას
პება და უ
ნოგის არ
ოიამას
მუკდენ
დაღალ
იქნებ
ლ
ბ
გა
ოთ

გის არმია მუკდენისაკენ წავა. 3. პორტ-არტური იაპონელების ხელში გადადის. რამდენსამე თვეში იაპონელები, რასაკვირველია, ყველაფერს, რაც ალყის დროს დაინგრა, შეაკეთებენ და პორტ-არტურს წინანდებურ მრისხანე ციხედ აქცევენ. ვსთქვათ, გენ. კუროპატკინმა მარშალ ოიამას არმია დაამარცხა, ვსთქვათ ლიაოდუნამდეც დაახევინა. იაპონელები მაშინ პორტ-არტურს გაიხდიან ბურჯად და იმის აღება შეუძლებელი გახდება. თუ რუსებმა ხუთი თვის განმავლობაში მოახერხეს ციხის დაცვა ხმელეთიდანა და ზღვიდან შემორტყმულ მტრის წინააღმდეგ, მაშასადამე ხმელეთიდან ალყის შემორტყმით პორტ-არტურის აღება შეუძლებელი იქნება, რადგან იაპონიის ფლოტი ზღვიდან ბეჯით დახმარებას გაუწევს ციხეს. ამნაირად პორტ-არტურის აღებამ სამხედრო კამპანიის ბედი გადასწყვიტა. აქამდე საქმე იმაში იყო, ვინ გაიმარჯვებს, იაპონია თუ რუსეთიო. ეხლა-კი სულ სხვა ნაირად დატრიალდა საქმე. ეხლა საქმე იმაზე მიდგა, განდევნის რუსეთი იაპონელებს მანჯურიიდან და იმათ ხელში მხოლოდ ლიაოდუნს დასტოვებს, თუ, პირიქით, იაპონელები მუკდენს, ხარბინს და თუ საქმე ცუდად წავიდა, ვლადივოსტოკსაც აიღებენ. აი ამაზე მივარდება საქმე, თუ ომი გაგრძელდა, მაგრამ ჰღირს უიმედო ომის განგრძობა? გენ. სტესელმა ზნეობრივი მამაცობა გამოიჩინა და უსარგებლო სისხლის ღვრა მოსპო. ნუ თუ ჩვენ, რუსის ხალხი, ვერ გამოვიჩენთ ისეთსავე სამოქალაქო სიმამაცეს, ვერ აღვიარებთ ჩვენს აშკარა დამარცხებას და რაღაც უსარგებლო მანჯურიის გულისათვის ატეხილ უიმედო ომზე ხელს არ ავიღებთ? იაპონელებმა საპატიო პირობები დაუდეს გენ. სტესელს; ეჭვი არაა, ეხლა რუსეთსაც საპატიო ზავის პირობებს დაუდებენ და რაც უფრო ადრე დაიდება ეს ზავი. მით უფრო საპატიო იქნება. ჩვენი არსებითი მიზანი ეხლა ზავია, დროა, ოთხასი ათასი კაცი მშვიდობიან ცხოვრებას დავუბრუნოთ, დროა ცხოვრების წესიერი მიმდინარეობა აღვადგინოთ“. („ნ. ჟ“).

საფრანგეთის პრესა სწერს: პორტ-არტურის აღება მეტად დიდ მორალურ გავლენას იქონიებს მთელს ქვეყნიერობასა და შორეულ აღმოსავლეთზეო. პორტ-არტურის დაცემა ძლიერ გაუტეხს რუსეთს სახელსაო. („ნ.“).

გენ. ნოგი. „ლოკალ ანცაიგერ“-ი გენ. ნოგის მოკლე ბიოგრაფიასა ჰბეჭდავს: გენ. ნოგი 1849 წელს ნოემბერში დაიბადა. 1877 წ. სოცუმას აჯანყების დროს ბატალიონის უფროსად იყო, ორჯერ იყო დაჭრილი და ძლიერ ისახელა თავი. ჩინეთ-იაპონიის ომში დიდ მონაწილეობას იღებდა; იმ დროს გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა. 21 ნოემბერს 1894 წელს პორტ-არტურის აღებაში მიიღო მონაწილეობა, მერე ინკოუ აიღო, შემდეგ კუნძულ ფორმოზაზე მოქმედებდა და ფორმოზას გუბერნატორად დაინიშნა; მერე მე-11 დივიზიის უფროსად დაინიშნა. ნოგი თავით ფეხამდე ნამდვილი სალდათია. მანევრების დროს ისე ცხოვრობს, როგორც უბრალო სალდათი; ამიტომ ზოგ აფიცერს გენ. ნოგი მეტად სასტიკ კაცად მიაჩნია, სამაგიეროდ დანარჩენ აფიცრებს და უბრალო სალდათებს ძლიერ უყვართ. „მანევრების დროს ისე უნდა იცხოვრო, როგორც ომის დროსაო“, ამბობდა ხოლმე გენ. ნოგი. თუ რამდენად სასტიკად ასრულებს სამხედრო წესებს, ეს შემდეგის მაგალითიდან სჩანს. გენ. ნოგი მასუიამაში ცხოვრობდა და დივიზიის უფროსად იყო. ტოკიოდან ცოლი მოუვიდა. ნოგიმ არ მიიღო თავისი ცოლი იმ საბუთით, რომ ნებართვის აუღებლად მოჰსულხარო. ცოლი უკან დაბრუნდა, თავისი ქმარი ვერც-კი ნახა. გენ. ნოგის სუვოროვივით შტიკით ბრძოლა უყვარს. იმისი ორი ვაჟიშვილი შტიკით ბრძოლის დროს დაიხოცნენ, ერთი ნანშანთან (ცინჩოუსთან), მეორე პორტ-არტურთან. გენ. ნოგის შტაბის უფროსი გენ. იჩიჩი არტილერისტია. ეს სულ სხვა ხასიათის კაცია. ტოკიოში სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ, გერმანიაში წავიდა და იქ საქსონიის ერთ-ერთ საარტილერიო პოლკში ჩაირიცხა. შემდეგ სამხედრო აგენტად იყო ბერლინსა და ლონდონში, მერე გენერალ-მაიორობა მიიღო და საველე არტილერიის ინსპექტორად დაინიშნა. ომის დაწყების წინა ხანებში იჩიჩი კორეიაში გადაიყვანეს სამხედრო აგენტად და იაპონიის ჯარის გადაყვანას შეუწყო ხელი. („ნ. დ.“).

წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა. „ეკო დე პარი“ იუწყება, პეტერბურგში საბოლოოდ გადასწყვიტეს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის დაბრუნება, რადგან ორ ჯავშნიან გემის მაშინები სრულიად არ გამოდგაო. („ნ.“).

რუსეთის ახალი ფლოტი. „მატენ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მოსკოვიდან: „პეტერბურგიდან მოსკოვში მოვდიოდი და მატარებელში რუსეთის სადმირალოს ერთს უმთავრეს წევრს ვესაუბრე. წევრმა მითხრა, რუსეთის ფლოტი ამ ჟამად სულაც არაა ბრწყინვალე მდგომარეობაშიო. რუსეთის ფლოტის განახლების პროექტი შეადგინეს, მაგრამ ფინანსთა მინისტრმა შეატყობინა მთავარ შტაბს, ბიუჯეტში აღნიშნულ კრედიტის გარდა ფლოტისათვის სხვა ფულს ვერ მოგცემთო. („ნ.“).

რუსეთის ფლოტი პორტ-არტურში დაღუპული. ბ. ბელომორი გაზ. „სლოვო“-ში სწერს: 27 იანვრიდან პორტ-არტურის აღების დღემდე დაიღუპა, ჩაიძირა და აფეთქეს შემდეგი გემები: „პოლტავა“—8,074,409 მან., „სევასტოპოლი“—8,074,409 მან., „პერესვეტი“—10,441,655 მან., „პობედა“—10,100,000 მან., „რეტვიზანი“—10,695,518 მან., „პეტროპავლოვსკი“—8,074,409 მან., „ბაიანი“—6,900,689 მან., „პალადა“—5,726,313 მან., „ნოვიკი“—3,049,312 მან., „ბოიარინი“—3,394,024 მან., „ვსადნიკი“—406,000 მან., „გაიდამაკი“—406,000 მ., „ჯიგიტი“—1,335,703 მან., „რაზბოინიკი“—1,335,703 მან., „ზაბიაკა“—436,000 მან., „ბობრი“—650,277 მან., „გილიაკი“—840,423 მან., „ენისეი“—2,000,000 მან., „ოტვაჟნი“—863,851 მან., „გრემიაშჩი“—1,250,000 მან., „ანგარა“—2,566,846 მან., „კაზანი“—1,150,000 მ., სულ 87,760,940 მანეთისა. ამას გარდა ყოველ გემის შეიარაღება საშუალოდ ჰღირს 5,762,936 მ. პორტ-არტურში დაიღუპნენ აგრეთვე: ნაღმიანი გემები „ლეიტენანტი ბურაკოვი“, „სტრაშნი“, „რასტოროპნი“, „რეშიტელნი“ და „სტერეგუშჩი“. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის რამდენიმე გემიც პორტ-არტურის შესავლის ჩასაკეტად ჩაძირეს; დაიღუპა აგრეთვე ბარჟები, მიწის ამომღები მაშინები, კრანები, საბუქსირო გემები, წყლის საზიდი გემები და სხვა. კრეისერ „ნოვიკ“-ის ზარბაზნები კი გადაარჩინეს, კუნძულ სახალინზე გადაიტანეს და ახლად აშენებულ ფორტში დაიწყეს.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. ნოგის არმიის მთავარსადგომიდან: იაპონიის მოდარაჯე გემებმა დაინახეს, რომ 19 დეკემბერს რუსის ნაღმიანი გემები პორტ-არტურიდან გავიდნენ, მაგრამ რუსის ჯარის მამაცობას პატივი სცეს და გემებს ხმა აღარ გასცესო. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

◆ როგორც გადმოგვცეს, **სამრევლო-საეკლესიო სკოლების ახალ პროგრამით** საღმრთო სჯულის სწავლება ადგილობრივ ენებზე უნდა სწარმოებდეს.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ ამ დღეებში ბარათები დაუგზავნა სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებებს და სთხოვა დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი გამგეობაში 25 წლის შესრულების აღსანიშნავად საიუბილეო პროგრამისა და წესის შესამუშავებლად. სხდომები გამგეობისა და წარმომადგენლებისა დაიწყება 10 იანვრიდან.

◆ **ტფილისის ფუნიკულერი** თითქმის მზად არის. გამართულია სადგურები, დაგებულია რელსები და დაყენებულია სამოძრავოდ მეტად კოპწია ვაგონები. ვაგონების მოძრაობა დაიწყება კვირას, 2 იანვარს 1905 წელს. ვაგონებს ავტომატიური მანქანები აქვს, რომლის შემწეობითაც ყოველს წუთს შეიძლება ვაგონის გაჩერება, თუნდ თოკი, რომელიც ვაგონს იჭერს, გაწყდეს კიდეც, ასე რომ მოძრაობის დროს არავითარი შიში არ არის მოსალოდნელი.

◆ მომავალ წლის 10 იანვრისთვის ბაქოში **დანიშნულია ნავთის მრეწველთა** მე-20 მორიგი კრება.

◆ ტფილისის ქალაქის ზოგიერთ ხმოსნებს საინტერესო წინადადება შეუტანიათ საბჭოში. თხოულობენ საბჭომ შუამდგომლობა აღძრას, რომ **მეეზოვენი განთავისუფლებულ იქმნან** საპოლიციო თანამდებობისაგან და პოლიციას უფლება აღარა ჰქონდეს მეეზოვენი მოიხმაროს სხვა-და-სხვა საქმისთვის. ასეთი შუამდგომლობა აღძრა ამას წინად პეტერბურგის ქალაქის საბჭომ.

◆ 1905 წლის პირველ იანვრიდან ტფილისის გუბერნიის **სასოფლო ქსენონები** გადაკეთებული იქნება საავადმყოფოებად. თითო საავადმყოფოში ექვსი საწოლი იქნება.

◆ **დღესასწაულის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე** 31 დეკემბრის ღამის 12 საათიდან 1 იანვრის ღამის 12 საათამდის შეჩერებული იქმნება ყველა საქონლის მატარებლის მიმოსვლა. ივლიან მხოლოდ სახალხო და სამხედრო და წყლის მატარებლები.

◆ ქალაქის საბჭოს იმ კომისიის მდივანმა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ინვენტარის შედგენა, შეჰკრიბა ცნობები **ქალაქის მიწების რაოდენობის შესახებ.** როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, ავლაბრისა, კუკიისა და ნავთლუხის დიდ ადგილების გარდა ქალაქს აქვს სულ 79 დესიატინა და 1326,31 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს ადგილები ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში 1715 ნაჭრებად არის. ზოგი ადგილი სადაოა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის, **ვერმიშევის, ავადმყოფობისა** გამო იმის თანამდებობის ასრულებას შეუდგა მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

◆ მოგვივიდა ახალი **წიგნი „იაპონია“, თხზ. ნ. ნიკოლაძისა.** წიგნი ძალიან კოხტად არის გამოცემული „ცოდნის“ მაღაზიის მიერ და ღირს ერთ აბაზად.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „**ჯეჯილის პრემია**“ 1904 წლისა: „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“, მოთხრობა მარკ-ტვენისა, თარ. ანასტასია წერეთლის მიერ. წიგნში ოცდა ათი სურათია. წიგნი კარგა მოზრდილია, სუფთად არის გამოცემული და ღირს სამ აბაზად.

◆ **ბათუმის მაზრის უფროსად** დაინიშნა მთავარ-მართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი.

◆ გრაფი შუვალოვი, რომელიც **ხოლერის საქმეების** გამო ჩამოვიდა კავკასიაში, 29 დეკემბერს ერევნისკენ წავიდა. ტფილისში ყოფნის დროს მოხდა კრება სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენლებისა. კრებაზე მოილაპარაკეს იმ მიზეზის შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ხოლერის წინააღმდეგ.

◆ დღემდე რაც ბაქოდან ნავთი გაჰქონდათ, **ბაჟად იღებდნენ ფუთში** კაპეიკს ერთ მეოცდაათედს. რკინის გზათა მთავარი გამგეობის განკარგულებით, 1905 წლის პირველ იანვრიდან აიღებენ ფუთში ერთს მეორმოცედს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის შენობას ამ ცოტა ხანში **ელექტრონით გაანათებენ.** პირველ იანვრიდან გაანათებენ მთავარ სატელეგრაფო ნაწილის სადგომს და რკინის გზის უფროსის კანცელარიას.

◆ როგორც გვატყობინებენ, ქიათურაში მეტად **დიდი თოვლი** მოსულა.

◆ 28 დეკემბერს სახაზინო თეატრში, **ქ-ნ ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ,** ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“. პიესამ მწყობრად ჩაიარა. მრავლად შეკრებილმა საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა მობენეფისე, [illegible] ზეინაბის როლს ასრულებდა.

◆ **ახალქალაქის მაზრის უფროსი** დუბონოსი დაინიშნა ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საბჭოს წევრად.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება **ხორცის ნიხრის** შეცვლის შესახებ.

◆ ქ-ნ ე. ა. ფრიდონოვისას ტფ. ქალაქის გამგეობაში 114 მანეთი შეუტანია. ეს ფული გათხოვების დროს მზითვად უნდა მიეცეს ტფილისელ ერთ-ერთ ხელ-მოკლე ქართველ ხელოსნის ქალს.

◆ ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისის შუამდგომლობის თანახმად, გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა რწმუნებულთა არჩევნების დროს ყველა ამომრჩეველს მოეთხოვოს საბუთის ქაღალდები იმისა, რომ ისინი მოქალაქეთა წოდებას ეკუთვნიან, მაგ. კვიტანციები გადასახადების გადახდისა, პასპორტები და სხვა. მოქალაქეებს შეუძლიანთ აგრეთვე აიღონ მოწმობანი მოქალაქეთა გამგეობისაგან და წარუდგინონ არჩევნების დროს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა საპიტრის ქუჩა გაასწორონ. ამიტომ მთელი ქუჩის მაღლობ ნაწილს აიღებენ.

◆ სურამის სამოქალაქო სასწავლებლის გამგე ტანენბერგი, რომელიც ამას წინად დასჭრეს, უკვე შესდგომია სამსახურის ასრულებას.

◆ ფოთის სახალხო სამკითხველოს გამგეობის წევრი ი. კოხრეიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „ფოთის სახალხო სამკითხველოს გამგეობის მხრით უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც საქველმოქმედო აზრით გამართულ წარმოდგენის დროს, 28 ნოემბერს, სცენაზედ ითამაშეს და წარმოდგენას ხელი შეუწყვეს. მადლობას მოვახსენებთ: ქ-ნთ ალ. ხახანიძეს, ელ. ჟღენტისას, ქეთ. ხუნდაძეს, ნინო ნარაკიძეს და ზ. სიდორიოვას; ბ-ნთ ვ. მიტკევიჩს, ზ. გოლოვინს, ვ. მარჯანოვს, ალ. სანოძეს, ვ. ელიავას, ნ. ჟღენტს, ან. ჟღენტს, გ. ნადირაძეს, კ. გაწერელიას, ბ. კალანდაძეს და ი. იმნაძეს. დახმარებისათვის აგრეთვე მადლობას მოვახსენებთ: ქ-ნ პარასკევა ქავთარაძისა და ი. განცბურგს. ამ წარმოდგენიდან სამკითხველოს დარჩა სულ 157 მ. 41 კ.“

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი: „უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს წერილს თქვენს გაზეთ „ცნობის ფურცელში“. № 2693-ში მოთავსებულია ხაშურიდან წერილი სურამის ნაწილის ბოქაულის ბ-ნ ტანენბერგის დაჭრის შესახებ. ამ წერილში, სხვათა შორის, მოხსენებულია შემდეგი: „დაჭრილმა ბოქაულმა ეჭვი მიიტანა ხაშურში მცხოვრებ სომხებს სტეფანე გრძელოვსა, ნიკოლოზ ტონაკანოვსა და მეწვქე იარაგოვზე“-ო. ამის გამო არ შეგვიძლიან არ ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია, რომ ბ-ნ ბოქაულს არავითარი ეჭვი არ აუღია ჩვენზედ. სტეფან გრძელოვი, ნიკოლოზ ტონაკანოვი, და მეწვქე იარაგოვი.

◆ სად. ბაქო. 29 დეკემბერს მანთაშოვის ზავოდის ბენზინის არხს ცეცხლი გაუჩნდა, საიდანაც იგი მოედო რკინის გზის საყარაულო ბუდკას და დაიწვა. 29 დეკემბერს, დილის 8 საათსა და 15 წუთზედ, როდესაც საბუნჩაში მიდიოდა მატარებე-

ფელეტონი

ესპანელი მწერალი სერვანტესი და იმისი რომანი „დონ-კიხოტი“ *)

წელს შესრულდა 300 წელიწადი, რაც შესანიშნავ რომანის „დონ-კიხოტი“-ს პირველი ნაწილი გამოვიდა: „დონ-კიხოტ“-ს იშვიათი ბედი ხვდა: თითქმის ყველა განათლებულ ხალხთა ენაზეა გადათარგმნილი და საქვეყნოდ სახელგანთქმულ ავტორიტეტიან კრიტიკოსთა მიერ უკვდავ ნაწარმოებად მიჩნეული. და მართლაც, მიუხედავათ თავის მხცოვანებისა, ეს რომანი ბევრს საგულისხმოს ეუბნება დღევანდელს კაცობრიობასაც-კი. ეს წიგნი ქართულადაც არის თარგმნილი ბ-ნ ნ. ავალიშვილისაგან. საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გადავცეთ მკითხველს ამ რომანის ავტორის ვინაობა და ამასთან თვით ამ წიგნის შესახებ ზოგიერთთაგან გამოთქმული რამდენიმე სიტყვაც.

ესპანელი დიდებული მწერალი მიქაელ სერვანტესი დაიბადა ალკალაში 1547 წელს. იგი
ომში თთა ოჯახისა, სადაც
ლიდან შვილს
ბი ჰყავდა
ება ვერ
ხალისი
ექსე-
ნიც.
ხა-
ნის

ჯარში ჩაირიცხა. ლეპანტის ომში ოთხჯან დასჭრეს, მთელი ზამთარი მესსინის ლაზარეთში გაატარა და რომ მორჩა, ხელ-ახლა მონაწილეობა მიიღო ესპანიის საუბედურო ტუნისის ომში. იქიდან კიდევ ახალ ომში წავიდა ალჟირს, მაგრამ გზაზე თათრებმა დაიჭირეს და ალჟირს მიიყვანეს. ალჟირს მყოფ ტყვე-ესპანელთა მდგომარეობამ მეტის-მეტად შეაწუხა სერვანტესი და რაც ხანი იქ იყო, სულ იმას ფიქრობდა და სცდილობდა, როგორ გაეთავისუფლებინა ტყვე-ესპანელები და როგორ დაეცვა იმათში სამშობლოს სიყვარული. სწორედ ამანაც გაუთქვა თავისიანთ შორის სახელი სერვანტესს, ამან გაჰხადა ავტორიტეტულ ადამიანად, თუმცა მასთანავე გაუორკეცა სასტიკი თვალ-ყურის დევნება მუსულმანთა გულქვა მბრძანებლის მხრივ. მუსულმანთა მბრძანებელს კარგა ესმოდა თავისი ტყვის მნიშვნელობა, ამიტომ იმედოვნებდა კარგა ბლომა ფულს აიღებდა „დიდებულ ტყვისათვის“. სერვანტესს ამასთანავე უპოვნეს დონ-ხუანისაგან მიცემული სარეკომენდაციო ბარათი და ამით სულ უფრო დარწმუნდნენ, რომ უბრალო ვინმე არ იყო და უფროც მოუჭირეს ხელი. ამის გამო სერვანტესის განზრახვა ჩაიფუშა. მაგრამ ყველა ამან ვერ აღმოფხვრა ამ კაცში კეთილისაკენ მისწრაფების სურვილი და, თუმცა რამდენჯერმე სახრჩობელასაც-კი მოელოდა, მაინც ვერ გადაახვევინა ერთხელვე არჩეულ გზიდან. ასე გაატარა ცხოვრება 1580 წლამდე. ამ წელს ერთმა ბერმა ვაჭართა შორის შეჰკრიბა ფული და ისე გამოისყიდეს ძვირფასი ტყვე.

ამას შემდეგ კიდევ სამს წელიწადს დაჰყო სერვანტესმა ომებში, მაგრამ სამხედრო სამსახური ველარ შესძლო და სამუდამოდ თავი დაანება. არავითარი სახსარი-კი არა ჰქონდა ცხოვრებისათვის.

აი, სწორედ ამ დროს შეუდგა სალიტერატურო მოღვაწეობას; იმის პირველ ნაწარმოებს „გალატეა“-ს ბევრი დრამატიული პიესა მოჰყვა, მაგრამ არც ერთი დიდათ არ მოეწონა საზოგადოებას. არსებითის პურის მოსაპოვებლად მომავალი ავტორი „დონ-კიხოტი“-სა საინტენდანტო სამსახურში შევიდა. იქ სურსათის ყიდვა მიანდეს, მაგრამ ამ საქმეში ბევრი მარცხი მოუვიდა სერვანტესს; ბოლოს ინდოეთის ფლოტისათვის სურსათის ყიდვას შეუდგა, მაგრამ ანგარიშებს თავი ვერ გაართვა, თავის გამოუცდელობით ხშირად უსიამოვნება შეხვდებოდა ხოლმე და საქმე იქამდე მივიდა, რომ პასუხის გებაშიაც მისცეს და რამდენსამე ხანს ციხეში ჩასვეს. ერთის სიტყვით, მთელი იმისი ცხოვრება განუწყვეტელს სიღარიბესა და უსიამოვნებას წარმოადგენს. ყველა ამასთან სერვანტესი წერას მაინც არ ანებებდა თავს, თუმცა არაფერს არა ჰბეჭდავდა. ადგილიდან ადგილზე თრევამ ბევრი მასალა შესძინა და ესპანიის ცხოვრება თავისის მრავალ-ფეროვნობით ზედმიწევნით შეასწავლა.

1598 წლიდან 1603 წლამდე თითქმის არავითარი ცნობა აღარ არის სერვანტესის შესახებ. ამ წელს-კი გამოჩნდა ვალიადოლიდაში, სადაც წვრილმან კერძო საქმეებს მოჰკიდა ხელი და ამით ცოტაოდენ რამეს იღებდა. 1604 წელს დაიბეჭდა პირველი ნაწილი იმის რომანის „დონ-კიხოტი“-სა, რომელსაც მთელი ესპანია დიდის ამბით მიეგება (რამდენსამე კვირაში გაიყიდა პირველი გამოცემა. იმავ წელს ოთხჯერ გამოსცეს ეს რომანი, აგრეთვე საზღვარ-გარედ ბევრს ენაზედ გადათარგმნეს). ავტორის ნივთიერი მდგომარეობა არაფრითაც არ გააუმჯობესა ამან, მტრები-კი ბევრი შესძინა,—დასცინოდნენ, ცილს სწამებდნენ, დევნიდნენ და ვინ იცის კიდევ, რას არ სჩადიოდნენ იმისი მტრები.

ამის შემდეგ წერისთვის თავი არ დაუნებებია სერვანტესს. 1604 და 1616 წწ. შუა გამოვიდა მეორე ნაწილი „დონ-კიხოტი“-სა, ყველა სხვა მოთხრობები, დრამატიული ნაწარმოებები და პოემა „პარნასზე მოგზაურობა“; ამასთანავე დასწერა რომანი „პერსილესი და სიგიზმონდი“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა.

უკანასკნელ დღემდე წერა არ შეუწყვეტია სერვანტესს. სიკვდილის წინად რამდენისამე დღით ადრე ბერად აღიკვეცა. 23 აპრილს, 1616 წელს შესწყდა სიცოცხლე, რომელსაც სერვანტესი თავის ფილოსოფიურ ოხუნჯობაში „ხანგრძლივ უბედურობა“-დ იხსენიებდა ხოლმე. იგი გარდაიცვალა მადრიდში, სადაც ვალიადოლიდიდან ახლად გადასული იყო. მუხთალმა ბედმა სიკვდილის შემდეგაც დიდხანს არ მიაგო ღირსეული პატივი დიდებულ ესპანელს: იმისი სამარე დიდხანს უპატრონოდ იყო მივიწყებული, წარწერაც-კი არა ჰქონდა იმის საფლავის ქვას (სერვანტესი ეკკლესიაში იყო დასაფლავებული). ძეგლი დაუდგეს მხოლოდ 1835 წელს. ძეგლის კვარცხლბეკზე ლათინურადაა წარწერილი: „მიქაელ სერვანტეს საავედრას, ესპანელ პოეტთა მეფეს“.

მსოფლიო მნიშვნელობა სერვანტესისა უმთავრესად იმის „დონ-კიხოტ“-ში გამოიხატება. ბევრი რამ დაწერილა ამ რომანის შესახებ და, როგორცა ვთქვით, ბევრს გამოჩენილ ბიოგრაფსა და კრიტიკოსს საფუძვლიანად აღუნიშნავს იმისი ღირსება. 1605 წლიდან 1857 წლამდე „დონ-კიხოტი“ 400-ჯერ გამოსცეს. სხვა-და-სხვა თარგმანი გამოვიდა: ინგლისურ ენაზე 200, ფრანგულზე—168, იტალიანურზე—96, პორტუგალიურზე—80, გერმანულზე—70, შვედურზე—13, პოლონურზე—8, დანიურზე—6, რუსულზე—2, ლათინურზე—1 და ქართულზე—1.

სერვანტესის ერთმა საუკეთესო ბიოგრაფთაგანმა ბ-ნმა შალმა ასე დაახასიათა „დონ-კიხოტი“-ს ავტორი: „…ოცნებით გატაცებულ პოეტს ცხოვრების გამოცდილება აკლდა და ვერც სამხედრო სამსახურიდანა და ვერც თავის ნაწარმოებიდან ვერა ისარგებლა-რა; უანგარო ადამიანი იყო, არ შეეძლო სახელ-დიდებისათვის ეზრუნა, არა და გამარჯვების მოლოდინი ჰქონოდა. ხან აღტაცებული იყო, ხან მრისხანე, სრულიად დამონებული თვისთა მისწრაფებათაგან“ და სხვ...

„დონ-კიხოტ“-ში თითქმის სავსებით იხატება სერვანტესის გენიოსური ნიჭი. „დონ-კიხოტი“ სასაცილოა, მაგრამ სასაცილო, გენიოსის ხელით დახატული. იმას მოქმედება—თუ ღრმად არ ჩაუკვირდებით,—შეუკავებელ სიცილს იწვევს, მაგრამ მოაზროვნე და მგრძნობიარე მკითხველს ეს სიცილი სხვაგვარ სიცილად ეცვლება,—ეს იქნება „სიცილ-ტირილი“. და სწორედ ეს არის უმთავრესი და დაუფასებელი ღირსება ყოველ დიდებულ იუმორისტულ ნაწარმოებისა. სერვანტესის რომანში, იმის გმირის სვე-ბედში გამოიხატება მთელის მსოფლიოს დაცინვა, ის დაცინვა, რომელიც ჰენრიხ ჰეინეს სიტყვით, „ღმერთმა შექმნა და დაამკვიდრა ამ ქვეყანად, ხოლო დიდებულმა პოეტმა თავის პატარა ნაბეჭდ ქვეყანაში მიჰბაძა იმას“.

ტურგენევი შექსპირის ჰამლეტსა და სერვანტესის „დონ-კიხოტს“-ს ერთმანეთს ადარე

ლი № 32, დაეწია იგი ზარემის ისაევს, რომელიც ლიანდაგზე მიდიოდა, და დააშავა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ჭალადიდი. ერთმა აქაურმა ვაჭარმა კოსტა ქორთუშვილმა პატარა ნავით ტყე-ტყე საქონელი წაიღო. გზაზე შემოღამებოდა თურმე, ნავი გადაბრუნებოდა და ოცი თუმნის საქონელი დაჰღუპვოდა. კიდევ კარგი, რომ მგზავრებს დავით მერცხულავასა და კოსტა ღუტარიას გადაერჩინათ ძლივს ძლივობით, თუმცა ისე დაშავებულია, რომ კარგა ხანი უნდა იმის გამორჩენას.

◆ სად. ბაქო. 28 დეკემბერს, ღამის 4 საათსა და 15 წუთზე, მანევრების დროს ლიანდაგს გადასცდა ორთქლმავალი და დაზიანდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

◆ სად. ნატანები. 28 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ვილაც შეიარაღებულ კაცებს მე-53 ვერსის მანძილზე კაზარმის მუშებისთვის რამდენჯერმე თოფი ესროლათ, მერე შეუსულიყვნენ კაზარმაში და თოფის თავით ეცემნათ უფროს ზედამხედველის ჭანტურიასა და ყარაულის ჟოუშიძისთვის.

◆ როდესაც ცირკის დირექტორი ნიკიტინი ექსპრესით მოდიოდა, 20 დეკემბერს ტფილისში, როსტოვსა ო კიზირინის სადგურის შუა ვილაცას გაეძარ ვაელო ჩემოდანი, რომელშიაც ხუთასი თუმ სარგებლიანი ქაღალდები, ბრილიანტები და ევა ნივთები ჰქონოდა.

◆ სად. ქალადიდი. 25 დეკემბერს, შობა დილას 6 საათზე, ვაგონში შედიოდა სენაკს მიმავალი დიმიტრი გაბრავა, ამ დროს რკინის გზის სადგურის მახლობლად თურმე ვილაც ბოროტ-გამზრახველი იდგა, გაისროლა რევოლვერი და ფეხებში დასჭრა გაბრავა. დაჭრილი სენაკში წაიყვანეს, ხოლო დამჭრელი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ.

◆ პოლიციის 1 ნაწილში მცხოვრებმა ერემია პანუხინმა პოლიცმეისტერს განუცხადა 29 დეკემბერს, რომ ჩემი შეგირდი, 13 წლის ბავშვი, ივანე მელნიკოვი 21 დეკემბერს იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში წავიდა და დღევანდლამდე უკან აღარ დაბრუნებულაო.

◆ გუშინ, 30 დეკემბერს, დ. ზ. სარაჯიშვილის ღვინის სავაჭრო კანტორაში რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლ ორს მუშას კ. ლოლუასა და გ. ბის დროს ილორიძეს ამოუღია დანა რგან დაუჭრია. ლოლუას ჭრილობა ს. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზა

იდს ქვემოდ, ესრედ წოდებულ არტი ალკის ბოლოში, ერთი ფარანიც არ გარდა ეს კუთხე მოშორებულია ზედამხედველობას. ამით სარგებლობენ ავზნის ქალნი და კაცნი და ათასი ები.

ს ხორცის გამოსაკვლევად ქ. ტფილი ლაბორატორიას დღემდე არა ჰქონდა საჭიროების დროს სარგებლობდა როსკოპით. ლაბორატორიის გამგემ სთხოვა გუშინ გამგეობას, გადასდოს შესაძენად 132 მან.

პრესსა

ატო გაზეთების საშობაო ნომრები იდა. ჩვეულებრივი, შობის დღესას შესაფერი წერილებიც არის ამ ნომ მაგრამ პორტ-არტური და მისგან ლი სულიერი განწყობილება ამ წერილებშიაც არის გაბატონებუ

დნი“ სწერს:

ეცემული პორტ-არტური—ხმა მაღალი საშინელებისა და სასოწარკვეთილებისა ახლით მორწყულ თერთმეტი თვის განმა ბაში. და ამ კვნესის მიზეზით უფრო მეტის ტანჯვით ივსება გული და თვალი სევდით მიიპყრობა იმისადმი, ვისიც დღესასწაულია დღეს. დროა, აღმობრწყინდეს განთიადი მშვიდობიანობისა დატანჯულ სამშობლოში! დროა, შეჩერდეს ადამიანის, ჩვენის ძმების სისხლის მდინარება, გაჩუმდეს ზარბაზნების გრიალი და კვნესა უკიდურეს ტკივილისა, შეშრეს ცრემლი! და ამოვა მზე ბედნიერებისა, დაჰბანს სხივებით ქვეყანას, რომელიც დაუბრუნდება საზოგადოებრივ შენების ნაყოფიერ და შემოქმედ შრომას...

„ნაშა ჟიზნ“-ი საშობაო წერილში კიარა საგანგებოდ ეხება ამავე საგანს. წერილის სათაურია—„მშვიდობიანობის“ ჩამოგდების შესახებ. წერილის ავტორი ვერ ხედავს ჯერ ნიშნებს იმისას, რომ მშვიდობიანობა მალე ჩამოვარდესო, მაგრამ დროა საზოგადოებამ გამოსთქვას თავისი აზრი იმაზედ, თუ რა პირობებით შეიძლება მტერთან მორიგება.

უკიდურეს საჭიროებად ვსთვლით ეხლავე მიეცეს ყოველ რუსს სრული თავისუფლება გამოთქვას თავისი აზრი საზავო პირობების შესახებ. არ არის რუსეთში ისეთი კოხი, რომ პორტ-არტურის დაცემას მთელის თავის სიმაღლით არ დაეყენებინოს მწარე საკითხი—რა აზრი, რა გამართლება აქვს ეხლანდელ ომს...

დროა ხმა მაღლა გამოითქვას, რომ რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა არც ეხლა, არც მომავალში არ მოელის არავითარ რეალურ სარგებლობას ამ ომიდან და, მაშასადამე, არც არავითარი გასამართლებელი საბუთია იმ დიდ მსხვერპლისათვის, რომელიც უკვე შეწირულია... შეუძლებელია დაიფაროს, რომ ბევრი, ძალიან ბევრი რუსი, გულწრფელად მოყვარე თავის სამშობლოსი, არ ხედავს არავითარ სარგებლობას არათუ კორეის დაპყრობაში, მანჯურიის და ჩინეთის რკინის გზის ქონებაშიც. მიეცით თავისუფლება ასეთ აზრებს!

⁂

„ნაში დნი“ მსჯელობს ამავე საგანზე შეურყეველის“ საბუთებით ხელში:

ომის განგრძობისათვის საჭირო იქნება ახალი საშუალებანი და სამილიარდო სესხები, უფრო და უფრო ცუდის პირობებით მოხერხებული, ერთი მეორეს მოჰყვება. გაივლის რამდენიმე ათი წელი და სახელმწიფო იძულებული იქნება ზურგი შეაქციოს ხალხის ცხოვრების კულტურულ საგნებს, რომ ხალხის მილიონებით იხადოს სარგებელი სამხედრო საჭიროებისათვის ნასესხებ თანხისა.

და განა საჭიროა ამ ომიანობის განგრძობა? რასაკვირველია, ბიუროკრატიას უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. მაგრამ ეს გზა თავისუფალი არ არის რუსის საზოგადოებისათვის, რუსის ხალხისათვის? ბიუროკრატიამ დაამტკიცა თავისი უბედურება; ზავის ის პირობები, რომელსაც მტერი წარუდგენს მას, შესაძლებელია, დამამცირებელი იქნეს რუსეთის სახელისათვის. მაგრამ რუსეთის ხალხი დიდია, მისი ძალა დაუშრეტელი და თუ ეს ხალხი მოითხოვს ზავს, განა საეჭვოა, რომ მტერი ისეთ პირობებს წარმოადგენს, რომ უთუოდ შესაფერი იქნება რუსეთის ხალხის ჭეშმარიტ ღირსებისა და ნამდვილ ინტერესებისა.

⁂

„ნაშა ჟიზნ“-ის მე-48 ნომერი, საიდანაც ამოვიღეთ ზემოთ მოყვანილი ადგილი, თავიდან ბოლომდე გადასათარგმნელია, მით უფრო, რომ ქართულ პრესის მდგომარეობა არ შეუცვლია ჩრდილოეთის გაზაფხულს და ძველებურად უნდა ავსოს თავისი ფურცლები სხვისა მასალით.

ამას წინად ტამბოვის ერობის ზოგ ხმოსნებს შეურაცხყოფა მიაყენა, სცემა კიდეც განგებ წაქეზებულმა ბრბომ. ამ საზარელ სცენას პოლიციაც დასწრებია, მაგრამ არავითარი ღონისძიება არ მიუღია მის მოსასპობად. „ნაშა ჟიზნ“-ის მეთაური ამ აღმაშფოთებელ ინციდენტის გამო ამბობს:

აქამდე სცემდნენ ებრაელებს, სტუდენტებსა და მუშებს, სცემდნენ კორესპონდენტებსაც და, რასაკვირველია, პოლიციის ხელის დაფარებით. ეხლა ერობის წარმომადგენლებზე მიდგა ჯერი... ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. საბუთია ველოდეთ, რომ, მოსკოვის საქალაქო თვითმართველობის მაგალითისამებრ, სხვა ყველა ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი—ქალაქები და ერობანი—თან და თან უარს იტყვიან ფულის გაღებაზე პოლიციის, ჟანდარმების და სხვა მზგავსების შენახვისათვის, რადგან არა თუ უნაყოფოა ასეთი ხარჯი, პირდაპირ მავნებელიც არის საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის.

ეხლა აღარ უნდა მოველოდეთ იმ პასიურ ქცევას თვით-ნებობისა და ძალმომრეობის წინაშე, რომელსაც თითქოს ასე შეჩვეულია ჩვენი საზოგადოება; ეს საზოგადოება უკვე განვითარების იმ საფეხურზე დგას, როცა იგი შეგნებულად და აქტივურად მოქმედებს არსებულ წესწყობილების მოვლენებზე. უარის თქმა ფულის გაღებაზე ისეთ დაწესებულებათა შესანახად, რომელიც არ შეეფერება საზოგადოების მოთხოვნას, ძლიერი რეალური საშუალებაა ამ აქტივურ გავლენისა.

მეორე საშუალება—საჯარო სამართალია, რომელიც უკვე მოითხოვეს ტამბოვის ერობის წევრებმა; ასეთ სამართალს ითხოვს საზოგადოებაც, მაგრამ ეს მოვლენა (ცემა ხმოსნებისა პოლიციის მფარველობის ქვეშ) სხვა მხრივაც არის საყურადღებო—იგი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტი არისო.

საერობო დაწესებულებათა ისტორიაში ტამბოვის ინციდენტი უმაგალითოა. ერობის ლიბერალ წარმომადგენლებს 60-იან, 80-იან, 90-იან წლებში და ბოლო დროსაც მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ: გადაასახლებდნენ ადმინისტრატიულის წესით, თანამდებობიდან გადააყენებდნენ და სხვა. დღეს მათ სცემენ...

ასეთ პირობებში შეუძლებელია ნორმალური, მშვიდობიანი და მიუდგომელი გამორკვევა „მომწიფებულ მოთხოვნილებათა“ (უკანასკნელ უმაღლეს ბრძანების სიტყვებია). არა თუ საზოგადოებას, თვით მთავრობასაც არ შეეძლება გაიგოს ჭეშმარიტი აზრი საზოგადოების წარმომადგენელთა, ამიტომ, სანამ განზრახული სარეფორმო მუშაობა გათავდებოდეს, აუცილებელია ორი საგარანტიო პირობა ეხლავე იქნეს ფაქტიურად განხორციელებული: ერთი—წერისა და კრების თავისუფლება და მეორე—პიროვნების ხელუხლებლობა.

პირდაპირ, აშკარად და მართლად უნდა დააყენდეს საკითხი იმ ძირითად პირობებზე, მომავალ უფლებრივ რეფორმას რომ აუცილებლად სჭირია; აქ შედის აუცილებლობა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევისა დამფუძნებელ საკრებულოს სახით. აი, ეს არის, რომ შეუდარებლად უკეთ დააწყნარებს საზოგადოებას, ვიდრე ძალმომრეობით აკრძალვა ლაპარაკისა და წერისა ამ საგანზე.

რუსეთის ქრონიკა

◆ „რუს. სლ.“-ოს დეპეშით აუწყებენ ეკატერინოსლავიდან, რომ ადგილობრივმა მეეზოვემ ივანიცკიმ რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი პოლიცმეისტერს მაშევსკის. ტყვიები ასცდა მაშევსკის და იქვე მყოფ ერთ პოლიციელს მოხვდა. პოლიციელი დაჭრილია.

◆ „ნაში დნი“-ს სიტყვით, რუსის მუშათა საზოგადოებამ შუამდგომლობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა შეცვლილ იქმნას მათი წესდების ის მუხლი, რომლითაც აკრძალულია შემწეობა საზოგადოების წევრთათვის გაფიცვის დროს.

◆ 14 დეკემბერს ტამბოვის საერობო კრებაზე მაყურებელთა შორის ქუჩის „შავი რაზმის“ წარმომადგენელნი იყვნენ და სხდომის დროს ერთი ყვირილი და ალიაქოთი ასტეხეს თურმე, რათა დაეშალათ კრებისათვის საყურადღებო საამდროო საკითხების განხილვა. იქ დამსწრე პოლიცია, თითქო განზრახ, ყურადღებას არ აქცევდა ამ თავხედ ხალხის ქცევას, არაფერი ზომები არ მიუღია იმათ დასამშვიდებლად; ამის გამო უკანასკნელნი ისე გათამამებულან, რომ შეწყვეტილ კრების წევრთ თავს დასხმიან გასავალ კარებში და ზოგიერთებისათვის ძლიერ უცემიათ.

◆ კიევში მოხდა კრება ადგილობრივ გაზეთების თანამშრომელთა და ლიტერატორთა, რომელზედაც ბჭობა იყო სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრებისათვის პროგრამის შესადგენად. დაადგინეს იშუამდგომლონ ამ კრების მოწვევისათვის. საერთო კრებაზე განხილულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები: 1) რანაირად უნდა იქნას უზრუნველყოფილი რუსეთში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება; 2) პროვინციალურ პრესსის მდგომარეობა; 3) განსაკუთრებული არჩეული სასამართლო ბეჭდვითი სიტყვის სფერაში მოღვაწეთათვის; 4) გამომცემელთა და თანამშრომელთა შორის დამოკიდებულების განწესრიგება; 5) კვირაუქმე დღეებში დასვენება ჟურნალ-გაზეთებში მომუშავეთათვის; 6) მწერალთა კავშირის განახლება; 7) დაარსება მთელ რუსეთში მწერალთა კავშირებისა და იმათ მოქმედების პირობათა გამორკვევა.

◆ გაზ. „სლოვო“-ს მოჰყავს შემდეგი ამბავი, რომელიც ამტკიცებს, თუ რანაირად შევიწროებულნი არიან დღეს რუსეთში მართლმადიდებლობისაგან განდგომილი მწვალებლები. ამას წინად ნიჟნი-ნოვგოროდში მწვალებელ სტაროობრიადცების მღვდელი თავის წესისამებრ ნათლავდა ბავშვს ერთ ოჯახში, ამ დროს ბრიყვულად შევარდა სახლში ადგილობრივი მეტად გულ-მოდგინე მართლმადიდებელი მღვდელი და ძალად შეაწყვეტინა თურმე ნათვლა.

◆ „ს. პ. ვედ.“-ს მოჰყავს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგად ჩამყოფს კოვალევსკის აუღია სახელმწიფო ბანკიდან სესხი თავის მამულის გირაოდ და ბანკს ორკეცად დაუფასებია ეს მამული სახელმწიფო მოღვაწის პატივსაცემლად: რაც მამული ღირდა—ორი იმდენი სესხი მიუცია—სულ 160 ათასი მანეთი.

◆ 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლეს ბრძანების თანახმად, იუსტიციის სამინისტროში შემუშავებულ იქმნება სასამართლოს რეფორმის პროექტი, რომელიც, სხვათა შორის, შეეხება საერობო უფროსებსა და რუსეთის იმ ადგილებში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოები არ არსებობს, ამ სასამართლოების შემოღებას. პროექტით უნდა შეიცვალოს სასოფლო სასამართლოები და გლეხთათვის დაარსებული იქმნება განსაკუთრებულ მსაჯულთა თანამდებობანი.

◆ მომავალ გაზაფხულზე სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს ვაჟების გიმნაზიების რეფორმის შესახებ. ამ პროექტით უნდა დაარსდეს ორი ტიპის გიმნაზიები: 1) გიმნაზიები, სადაც მესამე კლასიდან სავალდებულო იქმნება ლათინური ენის შესწავლა და არა-სავალდებულო—ბერძნული ენა და 2) გიმნაზიები, სადაც სავალდებულო იქმნება ორივე ძველი ენის შესწავლა. გიმნაზიები 8 და 6-კლასიანი იქმნება. 6-კლასიან გიმნაზიაში შესასვლელად საჭირო იქმნება მოსამზადებელ ორ-კლასიან სკოლის კურსის შესრულება. ამგვარი მოსამზადებელი სკოლები განსაკუთრებით იქმნება დაარსებული. მოსამზადებელ სკოლებში კურსდასრულებულთ უეგზამენოდ მიიღებენ გიმნაზიებში. განზრახულია მოუმატონ გიმნაზიებში მასწავლებელთ რიცხვს. რეალურ სასწავლებლებს რეფორმა არ ეხება.

◆ ფინანსთა სამინისტრომ აცნობა სხვა-და-სხვა უწყებათ, რომ რუსეთ-იაპონიის ომით გამოწვეულ დიდ ხარჯების გამო უყურადღებოდ იქნება დატოვებული ზოგიერთ უწყებათა თხოვნა მოხელეთათვის 1905 წელს ჯამაგირის მომატების შესახებო.

◆ იუსტიციის სამინისტროს განსაკუთრებულ კომისიას უკვე შეუმუშავებია პროექტი ახალი სამოქალაქო დებულებისა.

◆ 12 დეკემბერს გამოცხადებულ უმაღლეს ბრძანებაში, სხვათა შორის, მოხსენებული იყო მუშების სახელმწიფო დაზღვევა. ამ ჟამად ფინანსთა სამინისტრო უკვე შესდგომია მუშაობას ამ საქმის განსახორციელებლად და ცნობებს ჰკრეფს არსებულ მუშათა საურთიერთო დახმარებისა და საპენსიო კასების შესახებ. განზრახვა აქვთ ყველა სამრეწველოებს, ქარხნებსა და სავაჭროებს მისცენ უფლება გახსნან ამგვარი კასსები. სამინისტროს პროექტით მუშების სახელმწიფო დაზღვევა [illegible] კასსების მეოხებით უნდა მოხდეს და დაზღვეულ მუშებს მონაწილეობა ექნებათ ამ კასსებში.

◆ ფინანსთა სამინისტროს გამოქვეყნებულ ცნობებით, 1905 წელს სახაზინო არყის სავაჭროებიდან ხაზინას უნდა შემოუვიდეს 800 მილიონი მანეთი.

რუსეთის სახელმწიფოს ვალი 1905 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 7 ათას მილიონ მანეთს.

◆ იაროსლავის ერობამ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამ აიძულა ცნობილი ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე თავ. შახოვსკოი საერობო სამსახურისათვის თავი დაენებებია. თავ. შახოვსკოი, ფრიად პატივცემული და სასარგებლო წევრი ადგილობრივ საზოგადოებისა, განსვენებულმა მინისტრმა პლევემ დაიბარა პეტერბურგში და გამოუცხადა, საკმაო საბუთები მაქვს, რომლის ძალით შემიძლია გადაგასახლოთ ერთ-ერთ მოშორებულ გუბერნიაში და ამიერიდან სასტიკად ვადევნებ თვალ-ყურს თქვენს მოღვაწეობასო. როცა თ-დი შახოვსკოი დაბრუნდა იაროსლავში, საერობო კრებაზე გამოაცხადა, მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენელმა იმისთანა მდგომარეობაში ჩამაყენა, რომ ამიერიდან ჩემი სამსახური მავნებელი იქნება ერობისათვის და იძულებული ვარ სამსახურიდან გადავდგეო.

◆ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქების ექიმთა საზოგადოებანი მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ გენერლის კოვალიოვის მიერ შეურაცხყოფილ ექიმ ზაბუსოვს.

◆ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ფალბორკმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მთავრობამ ან თვითონ უნდა იკისროს ხარჯი პოლიციის შესანახად ან პოლიცია საქალაქო თვითმმართველობას უნდა დაუმორჩილოსო.

პეტერბურგის საბჭომ გადასწყვიტა აღარ აძლიოს გრადონაჩალნიკს საჭირო ფული გაძლიერებულ დაცვის განყოფილებისათვის შენობის დასაქირავებლად.

◆ 496 კაცისაგან შემდგარმა ინჟინერთა კავშირმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის ქალაქის მოურავს თავ. გოლიცინს. დეპეშაში ის აზრია გამოთქმული, რომ მოსკოვის საქალაქო თვითმმართველობის მიერ ნაჩვენები გზა ერთად ერთი საშუალებაა სამშობლოს განთავისუფლებისათვისო.

◆ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზდა პროფესსორებმა წერილი გაუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესსორს ტიმირიაზევს, რომელშიაც გამოსთქვეს, რამდენად შევიწროებულნი არიან დღეს რუსეთში მეცნიერების მკვლევარნი, და გულ-წრფელი მადლობა გამოუცხადეს ტიმირიაზევს, მეცნიერების თავისუფლების მედგარ დამცველს.

◆ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან ცნობები მოსდის „ნაშა ჟიზნს“ იმის შესახებ, თუ როგორ შევიწროებულნი არიან რუსეთში უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერნი. ეს ჟურნალ-გაზეთები იმდენად დასახიჩრებულია ცენზორის მაკრატლისაგან, რომ აღარაფრადაა მოსახმარიო.

წერილები

ქვემო რაჭა. აგერ ერთი კვირის განმავლობაში სულ გამუდმებით სთოვს. ორ ალაბ-ნახევარი მეტი თოვლი დასდო. შეიკრა ყველგან გზები. სოფლიდან სოფლამდე მისვლა შეუძლებელია. ფოსტა, რომელიც 12-ს უნდა მოსულიყო, 16 დეკემბერსაც არ იყო მოსული. ქუთაისიდან დეპეშა მოვიდა, ფოსტალიონნი მოსძებნეთ გზაში, მკვდარი არსად იყოსო. დღეს, 16 დეკემბერს, გაჰგზავნეს კაცები მის საძებნელად. გზა-ტკეცილები აივსო კლდიდან ჩამოსულ ზვავებით. ეს ერთად-ერთი გზა გვაქვს რაჭველებს და ესეც შეიკრა. მთებზე ხომ აპრილამდე ველარ გადაივლის ადამიანი. ისეც მიყრუებული რაჭა სრულიად მიყრუვდა. აღარ არის ჩვენთვის გაზეთ
არც მეგობრებისა და ნ
წერილები. ვაი მის
დაავდებ
ჯიბე, სას
ცოტაა ი
ჩო რომ
დაარბენი
სიმინდს
რაჭვე
დები
ამინდ
რომ ე
70 კაპ
ფურცხ

და, სხვათა შორის, ამბობს: „სიტყვა „დონ-კიხოტ“-ში ხშირად ვგულისხმობთ უბრალო მასხარას. სიტყვა „დონ-კიხოტობა“ გამომხატველია სისულელისა, ნამდვილად კი „დონკიხოტობა“ უნდა მიგვაჩნდეს თავგანწირულების უმაღლეს ნიმუშად“... „ჩვენა გვგონია,—განაგრძობს, სხვათა შორის, ტურგენევი, ყოველი ადამიანი ბევრად თუ ცოტად ამ ორ (ჰამლეტსა და დონ-კიხოტში) ერთ-ერთსა ჰგავს; ყოველი ჩვენგანი ან ჰამლეტისებურია, ან დონ-კიხოტისებური. მართალია, ჩვენს დროში ჰამლეტები უფრო გამრავლდნენ, ვიდრე დონ-კიხოტები, მაგრამ დონ-კიხოტებიც არ გადაშენებულან“. „დონ-კიხოტი—ამბობენ ბ-ნნი ბ. და ე.—მთლად გამსჭვალულია იმ იდეალის ერთგულებით, რომლისთვისაც მზადაა ყოველიმე დასთმოს, თვით სიცოცხლეც შესწიროს. ამ სიცოცხლეს იმდენად აფასებს იგი, რამდენადაც თავის იდეალის განსახორციელებლად გამოადგება, რათა ქვეყნად ჭეშმარიტება და მართლმსაჯულება დაამყაროს“. „...იმის (სერვანტესის) პოეზია—ამბობს ტურგენევი—ხან-და-ხან შექსპირისებური არეული, მღვრიე ზღვა კი არ არის,—ღრმა მდინარეა, მრავალგვარ ნაპირთა შორის მშვიდად მიმდინარე. და იმის ანკარა ზვირთთაგან თანდათანობით გატაცებული და ამით ყოვლგვარად დამონებული მკითხველი სიხარულით ყურს უგდებს იმის ჭეშმარიტს ეპიურ მიმდინარეობას. გონება ხშირად სიამოვნებით წარმოადგენს ხოლმე ორ თანამედროვე პოეტთა ხატებას, იმ პოეტთა, რომელნიც ერთსა და იმავე დღეს გარდაიცვალნენ, 26 აპრილს, 1616 წელს*). ვანტესმა უთუოდ არაფერი არ იცოდა შექსპირისა, მაგრამ დიდებულს ტრაგიკოსს შეეძლო წაეკითხნა ეს შესანიშნავი რომანი თავის მყუდრო სტრატფორდის სახლში, სადაც იგი სიკვდილამდე სამის წლის წინად გადასახლდა. ეს რომანი იმ ხანად გადათარგმნილი იყო ინგლისურ ენაზე... განა რომ ეს სურათი ღირსია მხატვარ-მოაზროვნეთა აღწერისა: შექსპირი კითხულობს „დონ-კიხოტს“! ბედნიერია ის კუთხე, სადაც იბადება ასეთი ხალხი მასწავლებელი თანამედროვეთა და შთამომავლობათა.“

სერვანტესის რომანის ერთ უმთავრეს საფუძვლად უნდა ჩაითვალოს მისწრაფება სულიერ და სინდისის თავისუფლებისაკენ, რაც თვით ამ რომანის ავტორის ბუნებაშივე იყო მოთავსებული: „თავისუფლება, სანჩო—ეუბნება დონ-კიხოტი თავის მეაბჯრეს,—უძვირფასესი სიკეთეა, ზეცისაგან კაცთა მიმართ ნაბოძები. არაფერი არ შეედრება თავისუფლებას: არც დედამიწის გულში დაფარული სიმდიდრე, არც ზღვის ფსკერში ჩაფლული განძი. თავისუფლებასა და პატიოსნებას უნდა შესწიროს კაცმა თავი, რადგან ყველაზე უდიდესი სიღარიბე ამ ქვეყნად—მონობაა. შენ ხომ ნახე ის სიმდიდრე და განცხრომა, ჰერცოგის ციხე-დარბაზში რომ გვეხვია გარსა. მერე რა? ამ რჩეულ საჭმელს რომ ვჭამდი და ჩაცივებულ სასმელებსა ვსვამდი, მაინც კიდევ მშიოდა, რადგან ისე თავისუფლად ვერ ვსარგებლობდი ამით, როგორც ჩემის საკუთარით ვისარგებლებდი. თუ გრძნობ, რომ ნაწყალობევი რისამე ვალდებულად გხდის, ეს იმას მოასწავებს, რომ სულიერად შებორკილი ხარ.“

ვიმეორებთ, ამ რომანის გმირი დონ-კიხოტი ცოცხალი სარკეა თავის შემომქმედის კეთილშობილ სულისა. სერვანტესს თავისის გულუბრყვილობითა და მახლობელთათვის თავის განწირვით საპატიო ადგილი უკავია დიდებულ მწერალთა კერძო ცხოვრების ფურცლებზედაც. და სწორედ ამიტომაც, თუმცა გვიან, ღირსეულად დააფასა იგი არა მარტო მშობელმა ესპანიამ, არამედ მთელმა განათლებულმა კაცობრიობამაც.

ამ წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ სამასი წლიწადი შეუსრულდა „დონ-კიხოტ“-ს. მომავალ 1905 წელს დღესასწაულობენ ამ დღეს, რისთვისაც მადრიდში განსაკუთრებული კომისია შესდგა და ამ კომისიამ შეიმუშავა საიუბილეო დღესასწაულების პროგრამმა. კომისიამ დაადგინა: 1. ამ დღისათვის დაბეჭდოს აკადემიისაგან დამზადებული იაფ-ფასიანი გამოცემა „დონ-კიხოტი“-სა; 2. ამავე თხზულებას გამოსცემენ შემოკლებულად გიმნაზიებისათვის და კიდევ უფრო შემოკლებით გამოსცემენ სახალხო სკოლებისათვის; 3. ამასთანავე გამოაცხადებენ კონკურსს სერვანტესის წვრილ ნაწარმოებთა კრიტიკულ გამოცემისათვის; 4. თეატრებში წარმოადგენენ სერვანტესის სხვა-და-სხვა პიესებს, უმთავრესი სადღესასწაულო წარმოდგენა-კი გაიმართება „თეატრ ესპანოლ“-ში; 5. აღდგენილ და განახლებულ იქნება კაპელლა Reletar ალქალის იმ ტაძარში, სადაც სერვანტესი მოუნათლავთ; 6. დაადგინეს დაარსონ სერვანტესის სახელობის მუზეი ალქალაში. გარდა მუზეისა, ესპანელ მწერალთა და მხატვართა კავშირი დააარსებს სერვანტესის სახელობის ინსტიტუტს, რომლიდანაც შრომის უნარ-დაკარგული მწერლები და მხატვრები შემწეობას მიიღებენ. დასასრულ სერვანტესის სახელის პატივსაცემლად გაიმართება საუნივერსიტეტო დღესასწაული და გამოსცემენ იმის სახსოვარ მედლებს.

ვ—ლი.

---

*) ბიოგრაფი სერვანტესის გარდაცვალების დღედ 3 აპრილს ასახელებს.

ყავთ სვანეთამდე და ონამდეო. ამ ამბავმა ხალხში დიდი სიხარული გამოიწვია. თუ ღმერთმა ჰქნა და ეს ხმა გამართლდა, რაჭველების ბედს ძალიან აღარ დაჰყეფს. აქაურ ხალხს შრომა უყვარს და მაშინ საშრომოსაც იშოვნის. როგორც ლეჩხუმში, ისე აქ დაუთმობენ ლიანდაგისათვის ყანა-ვენახს.

ამ ერთი კვირის წინად სამი უწერელი კაცი მოვიდა ლიაოიანიდან რაჭაში. როგორც მათა სთქვეს, ბუფეტი ჰქონდათ ლიაოიანში. მაგრამ იაპონელებმა რომ ლიაოიანი აიღეს, ძლივს გამოუსწრიათ იქიდან. ჩექმების ჩაცმაც ველარ მოესწროთ, სამასი თუმნის საქონელი მიეტოვებინათ იქ.

ამ ორი კვირის წინად ქუთაისში დაუჭერიათ ჯარის-კაცებიდან გამოქცეული გ. ერისთავი. ერისთავმა ერთ წელს იმსახურა ჯარის კაცად რუსეთში. ერთი წლის შემდეგ გამოეშვათ ერთის თვით სახლში. ერისთავი მას აქეთ სამსახურში აღარ დაბრუნებულა, იმალებოდა ხან სად და ხან სად. ქალაქ ტფილისში დაეჭირათ, მაგრამ გამოქცეულიყო იქიდანაც. მას აქეთ დაეძებდნენ. ამ ორი კვირის წინად ერისთავი დაუჭერიათ ქუთაისს სადღაც ერთ ღვინის სარდაფში. ქუთაისიდან გამოეგზავნათ ონში. ერისთავს მოჰყვებოდა საერობო დარაჯი. ს. კვაცხუთს ის იყო მოსულიყვნენ, სცემოდა ერისთავი დარაჯს და თოფის წართმევა მოენდომებინა. დარაჯს ამოეღო დამალული ხანჯალი და სამ ალაგას ბეჭში დაეჭრა ერისთავი. ერისთავი ცოცხალ-მკვდარი დააწვინეს ამბროლაურის საავადმყოფოში. დარაჯი იმ ერისთავის სახლში გაზრდილი ყოფილა და დაჭრილ ერისთავს თურმე თავზე დასტიროდა.

ვანო ჭიჭინაძე.

ხ. მარტვილი (სამეგრელო). ს. მარტვილიდან დაბა ხონი სამხრეთ-აღმოსავლეთით თორმეტი ვერსის მანძილზე მდებარეობს. აქედან მიმავალი მგზავრი ჯერ პატარა მდინარე ნოღელაში უნდა გავიდეს, რომელიც წვიმების დროს მრისხანედ მოჰქუხს ხოლმე, შემდეგ კი მდ. ცხენის წყალში. სამეგრელოს ბევრ სოფელს მრავალ ნაირი დამოკიდებულება აქვს ხონთან. ხონი სავაჭრო ადგილია მთელს ქვემო იმერეთში, სადაც სამეგრელოდან მრავლად მოჰყავთ გასასყიდად შინაური ოთხ-ფეხი და სხვა და სხვა შინ მომზადებული საოჯახო ნივთები. სწავლა-განათლების მხრივ ხომ ბევრს ესაჭიროება ხონი, სადაც ბევრი სხვა და სხვა ტიპის სასწავლებელია. მეგრელი აქ არა ერთი და ორი სწავლობს. როგორცა ვსთქვით, ხონში მიმავალს მდ. ცხენის წყალი უხვდება, რომელში გასვლაც ბევრჯერ ბედს აწყევლინებს. მართალია ამ მდინარეზე ბორნებია, მაგრამ ხშირად მომხდარა, რომ ბორანი წყალს მოუტაცნია და რამდენიმე ათი ვერსიდან მოსული მგზავრი უკან დაბრუნებულა წყევლა-კრულვით. ყველა ჰგრძნობს ხიდის საჭიროებას და მზად არიან შეუძლებელი მსხვერპლიც კი გაიღონ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ხიდის გაკეთებას ნახევარ მილიონზე მეტი მოუნდებაო,—ამოდენა ფულის გაღება კი, რასაკვირველია სოფელს არ შეუძლიან. ვინ არის პატრონი, რომ ამისთანა კეთილი საქმე ითავოს, აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და გაკეთდეს ეს საქმე, რაც უეჭველია ჩვენი ხალხისათვის დიდი ეკონომიური წარმატება იქნებოდა. რასაკვირველია, ასეთი შუამდგომლობა დროზე უნდოდა, თორემ ახლა ვინ რას მოგვცემს ომიანობის გამო.

სულ სხვაა ნოღელა. ეს უკანასკნელი ძლიერ პატარაა, ის ადგილი სადაც გზა-ტკეცილი მიდის, არ არის განიერი, ალაგ-ალაგ 10—15 საჟენი თუ კი იქნება, მაგრამ საკმარისია ორი-სამი საათის წვიმა, რომ გულის შემზარავი სანახავი გახდეს (ეს მდინარე მთიდან ჩამორბის) და სპობს ყოველ ნაირ მიმოსვლას. არა ერთი და ორი ადამიანი უმსხვერპლნია ამ მდინარეს აი კიდევ ერთი მაგალითი საზარელ მსხვერპლისა: ამ დეკემბრის 10 რიცხვს ნოღელამ, წვიმების გამო, ჩვეულებრივად მოიმატა და მოიტაცა მარტვილიდან ხონში მიმავალი ომნიბუსი,—ოთხი ცხენი და მეეტლე წყალმა იმსხვერპლა, ხოლო ორი კაცი, რომელიც ომნიბუსში მჯდარა, გადაარჩინეს. მეეტლე ხონელია—მაქსიმე რუხაძე, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი. საზარელი მსხვერპლია, არა, მკითხველო? დიახაც რომ საზარელია; —გულის ამღვრევი და სამწუხაროა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს შემთხვევა შედეგია იმ პირთა დაუდევრობისა, რომელთაც სოფლის ბატონ-პატრონობა აქვთ მინიჭებული. ნუ თუ სოფლის ადმინისტრაციის მოვალეობა მხოლოდ „ოქმების შედგენაა"!

აქაური

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ცნობის ფურცლის" მე-2708 ნომერში მოთავსებულია ბათუმიდან წერილი ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენის შესახებ 21 დეკემბერს. რადგან ეს წერილი საქმის ნამდვილ ვითარებას არა ხსნის, ამისათვის იძულებული ვარ, სიმართლის აღსადგენად, უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მე ჩემის დასით ვიყავი ბათუმში წარმოდგენების გასამართავად. სწორედ იმ დროს მუშათა წარმომადგენლებმა მომმართეს, გამემართა ერთი წარმოდგენა იმათთვისაც, რაზედაც მე დავთანხმდი. ამის შემდეგ ქუთაისში მომივიდა შემდეგი წერილი: „უფ. ვლადიმირ სოლო[illegible]ნის ძევ! (იგულისხმეთ სარდიონის ძე). ამას წი-[illegible] ბათუმში ბრძანდებოდით, ჩემ-[illegible]მელიმე წარმოდგე-[illegible], რომლის [illegible] თან ერთად აფიშები და ბილეთები გამოგვზავნეთ. რაზან ჩვენ ფული არა გვაქვს—ცხადია თქვენი ფული დახარჯეთ და წარმოდგენის ღამეს 400 მანეთს სრულიად ჩაგაბარებთ. გთხოვთ ამის შესახებ საჩქაროდ გვიპასუხოთ. დავრჩები პატივისცემით ილარიონ დარახველიძე*). 20 ნოემბერი, 1904 წ. ქ. ბათუმი". ამის შემდეგ მე გადავწყვიტე მეთამაშნა პიესა „კაი გრაკხ", რომელშიაც მე თითონ უნდა მიმეღო მონაწილეობა 21 დეკემბერს. გავუგზავნე აფიშებიც და ბილეთებიც პირობისამებრ, მაგრამ, როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, 15 დეკემბერს, ტფილისში თამაშობის დროს, ხელი მოვიტეხე, რის გამოც იძულებული ვიყავ ან სრულებით უარი მეთქვა ბათუმელებისათვის წარმოდგენის გამართვაზე, ან შემეცვალა და დამედგა ისეთი პიესა, რომელშიაც მე თვითონ მონაწილეობას არ ვიღებდი. რადგან მარტო მე ამ საქმის გადაწყვეტა ვერ ვიკისრე და უნდა უეჭველად დავკითხებოდი მათ, ვისზედაც წარმოდგენა მქონდა მიყიდული, ამისათვის საგანგებოდ გავგზავნე ჩემი დასის მსახიობი ა. ბაქრაძე ბათუმს, რომ მოელაპარაკნა იმ პირებთან, რომლებთანაც საქმე მქონდა დაჭერილი. ა. ბაქრაძემ შეასრულა დავალებული და იქიდან დეპეშით მაცნობა, რომ პიესის გამოცვლაზე თანახმანი არიან და მთხოვდა ჩემის დასით წავსულიყავ. წარმოდგენის დღეს ანონსებით ვაცნობეთ საზოგადოებას, რომ, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, „კაი გრაკხსის" მაგიერ წარმოდგენილი იქნება „ჩრდილოეთის გმირნი". ასე, ამ გვარად წარმოდგენა შესდგა. მაგრამ მესამე მოქმედება რომ დავიწყეთ, გალერეიდან მოისმა რამდენიმე ხმა: „შეამოკლეთ პიესა, არ გვინდა, ძირს!" და სხვა. მაშინ იძულებული ვიყავი გავსულიყავ სცენაზე არეულობის დასამშვიდებლად. როდესაც ავუხსენ საზოგადოებას, რომ იმათ არა აქვთ პროტესტის უფლება, რადგან პიესა შეიცვალა მათის წარმომადგენლების თანხმობით, მაშინ აქა-იქ გაისმა ხმა: „ჩვენ არ ვიცოდით, ჩვენ მოტყუებულნი ვართ". ამაზე მე ვუპასუხე, რომ თუ თქვენ თქვენს წარმომადგენელთ არ ენდობით, მე კიდევ ამის შემდეგ თქვენ არ გენდობით-მეთქი. ამაზე ზოგმა წამოიყვირა: „ჩვენ თქვენ, ბ. მესხიშვილო, დიდ პატივსა გცემთ, მაგრამ პიესის შინაარსს ვუცხადებთ პროტესტსაო". ამაზე ვუპასუხე, თუ თქვენ იბსენიც აღარ გაკმაყოფილებთ, მაშ მე როგორღა შევძლებ თქვენ დაკმაყოფილებას-მეთქი, რის შემდეგაც ვუბძანე ფარდა ჩამოეშვათ და წარმოდგენა შეეწყვიტათ. სხვა არავითარი ჩოჩქოლი და ტირილი არა ყოფილა-რა.

მსახიობი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 დეკემბერი.

ვაშინგტონი, („რეიტერი"). შემდეგმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ფრიდრიხ დიდის ძეგლის აფეთქების განზრახვა მხოლოდ სულელური ხუმრობა ყოფილა.

პარიზი. მთელი პრესა ერთხმად აღიარებს, რომ დუმერის არჩევა სერიოზული დამარცხებაა კომბის სამინისტროსიო. მთავრობის თანამგრძნობი გაზეთები პირ-და-პირ ამბობენ, რომ დუმერის არჩევის წყალობით კომბისა და რესპუბლიკელთა უმეტესობის მდგომარეობა შეირყაო.

მოსკოვი, 29 დეკემბერი. გაიხსნა ფარმაცევტების კრება. 100-მდე კაცი დაესწრო. კრება სამ დღეს გასტანს. დღეს განიხილავენ საკითხს საზოგადო დაწესებულებებში ფარმაცევტების უფლებათა შესახებ.

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი („რეიტერი"). უკანასკნელ 5 თვის განმავლობაში ნიუ-იორკს მოვიდა რუსეთიდან გადმოსახლებული 75,160 ებრაელი. ამ ებრაელთა უმეტეს რიცხვს უკანვე აბრუნებენ რუსეთში, რადგან ისინი უცხოელთა შემწეობით გადმოსახლდნენ ამერიკაში.

ბერლინი, 29 დეკემბერი. რეიხსტაგმა განიხილა დეპუტატების მეინინგენისა და ჰაუსმანის მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომ [illegible] გამოცხადებულია სურვილი, რომ უფლებანი (?) კანონიერად გამოქვეყნებულ და დამტკიცებულ სახელმწიფო ხელშეკრულობებით მიენიჭოსთ მხოლოდ იმ სახელმწიფოთ, რომელთა შინაგანი უფლებრივი წყობილება საკმაო გარანტიას წარმოადგენს, რომ ისინიც თავის მხრივ შეასრულებენ თავის ვალდებულებას, რაც შეეხება უცხოელთა გაცემას, ხელშეკრულობა უნდა დასდონ ცალკე სახელმწიფოებთან, რომელნიც გერმანიის იმპერიის ნაწილებს შეადგენენ და ვადის შესრულების შემდეგ ეს ხელშეკრულობანი არ უნდა განაახლონ.

კოპენჰაგენი, 29 დეკემბერი. კაბინეტმა თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მეფემ მიიღო სარწმუნოებათა მინისტრი კრისტენსენი, რომელსაც გამოუცხადა, თანახმა ვარ შეადგინოთ ახალი კაბინეტიო.

---

*) ეს წერილი, ბ-ნ მესხიშვილის მიერ გამოგზავნილი, ამ ჟამად ჩვენს რედაქციაში ინახება.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 28 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,97½
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	89½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	419
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	225

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქართველ ქალთა

ამხანაგობის სამკერვალო სკოლის მოწაფეთა ნახევარზე მეტი ეკუთვნის უღარიბეს ტფილისის მცხოვრებთ ხელოსანთა და ქვრივ-ობერ ოჯახს, ამისათვის გამგეობა ქალთა ამხანაგობისა უმორჩილესად სთხოვს ქართველ ქველ-მოქმედთ, ვაჭართ და ხელოსანთ აღმოუჩინონ რაიმე დახმარება ამ სადღესასწაულოთ! ყოველი შემოწირულობა მადლობით მიიღება სახელოსნო სკოლის სადგურზე ვერაზე, მოსკოვის ქუჩა, სახლი ა. გაბაშვილისა, № 6. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ; მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—6.—14)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები		50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი		50
II და III ტომი თითო		
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	
იგივე II და III ტომი თითო		
იგივე IV ტ. ორ წიგნად		80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	50
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ბოტტონისა		20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა		50
სიბრძნე ბალავარისა		30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში		15
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა		50
რძე, მისივე		
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა		
დასტურ-ლამა		
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა		
ფიზიოლოგია—ფოსტერისა		
ეხნითი რაფიელისა, თარგ. სომხურ ევანგულოვისა		

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოების

ვ. ი. პალლიზენ

რუჩევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდი

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, ს-ტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკ-ნების. **ტელეფონი № 680**

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის

ნ. ი. ბოზარჯიანცისა და

(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)

ჩვენის მუშტარის **გასაფრთხილებლად** ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ ნერო საზოგადოების

„მირ"-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა

და სხვათა დაამზადეს პაპიროსები. ეს პაპიროსები ისეთსავე ყუთებში ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და დის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის მოებიც მეტად გავრცელდა.

№ 8.	**„სიმპატია"** № 15	**„ნაროდნია"** № 7	**„ეკონომია"** № 16
ფასი 10 ცალი 5 კ.	ფასი 10 ც. 5 კ.	ფასი 10 ც. 3 კ.	ფასი 10 ც. 3 კ.

ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ ამ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს.

და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.

ნ. ი. ბოზარჯიანცი შ-ით.

მუშტრის მოსატყუებლად „მირის" ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასვამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ.

(10—3)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.—29) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ"

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—ბ.